საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1961 წ., №1, მუხ.10) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კოდექსის 139-ე მუხლის სათაურსა და პირველი ნაწილის დისპოზიციაში სიტყვის „საარჩევნო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის“.

2. კოდექსის 139^1 მუხლის სათაური და პირველი ნაწილის დისპოზიცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 139^1. პარლამენტის ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატისა და არჩევნებში მონაწილე პარტიის, რეფერენდუმის მოწყობის საინიციატივო ჯგუფის პატივისა და ღირსების შემლახავი მონაჭორის გავრცელება

წინასწარი შეცნობით პარლამენტის ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატისა და არჩევნებში მონაწილე პარტიის, რეფერენდუმის მოწყობის საინიციატივო ჯგუფის პატივისა და ღირსების შემლახავი მონაჭორის გავრცელება.

3. კოდექსის 140-ე მუხლის სათაურს და დისპოზიციაში სიტყვის „საარჩევნო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სარეფერენდუმო ან საპლებისციტო“.

II. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში („საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები“, 1984 წ., №12, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კოდექსის 174^3 მუხლის სათაური და დისპოზიცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 174^3. საარჩევნო კომისიების მუშაობაში ჩარევა არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის ჩატარების დროს

საარჩევნო კომისიების მუშაობაში ჩარევა არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის ჩატარების დროს, რაც გამოიხატება საარჩევნო უბნებში ხმის მიცემის, პარლამენტის ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატის პარტიის ან რეფერენდუმის მოწყობის საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის, საარჩევნო უბნებსა და ოლქებში ხმების დათვლასა და არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის საერთო შედეგების დადგენასთან დაკავშირებული მოვალეობის შესრულებისათვის ხელის შეშლაში.

2. კოდექსის 174^4 მუხლის სათაურსა და დისპოზიციაში სიტყვის „საარჩევნო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სარეფერენდუმო ან საპლებისციტო“.

3. კოდექსის 174^5 მუხლის სათაური და დისპოზიცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 174^5. აგიტაციის გაწევა არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის დღეს

არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის დღეს პარლამენტის ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატისა და არჩევნებში მონაწილე პარტიის, რეფერენდუმზე ან პლებისციტზე გამოტანილი საკითხის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ აგიტაციის გაწევა.

საქართველოს პრეზიდენტი

ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,

1996 წლის 27 ნოემბერი.